№ 48. 6 მარტი, პარასკევი. 1866—1881 6 მარტი, პარასკევი. № 48.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ნიკოლაძის ხელში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე ... კაპ., წვრილი ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

ცალკე ნომრები „დროებისა"

თფილისში იყიდება: შაევრდოვის გაზეთის სააგენტოში, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში და თვითონ რედაქციაში (პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კონდუქტორებთან.

## ტელეგრამები

პეტერბურღი, 4 მარტს. ოფიციალური ცნობა: 6 მარტს დანიშნულია განსვენებულის იმპერატორის გვამის გადატანა ზამთრის სასახლიდამ პეტრე-პავლეს სობოროში...

„გოლოსში" სწერია ნაამბობი პოდპოლკოვნიკის რუდაკოვსკისა, რომელიც დასწრებია ხელმწიფის უბედურებას: როდესაც ჯარის დახედვიდამ დავბრუნდით, აფეთქების ხმა შემესმა; იმ ადგილისაკენ გავექანე; სიდამ რომ გავიარეთ დავინახეთ გაჩერებული კარეტა ხელმწიფისა. ხის ალაყაფის კარებთან, არხის მოაჯირთან ხალხი მოგროვილიყო და დამნაშავე დაეჭირათ. მე, სირბილისაგან დაქანცული, და პრეობრაჟენსკის პოლკის ვიღაც აფიცერი, ამ ხალხის გროვის ათი ნაბიჯის მანძილზედ მივედით ხელმწიფესთან და რადგანაც უკანიდამ ხელმწიფე ვერ ვიცანით, ვკითხეთ—როგორ არის ხელმწიფე. იმპერატორმა მოიხედა, დაადგა გზას, პირჯვარი გადიწერა და ბძანა: „—მადლობა ღმერთს, გადავრჩი. მაგრამ, კარეტასთან იწვა დაჭრილი ყაზახი, შორი-ახლო ყვიროდა დაჭრილი ბავშვი. დამნაშავემ რა წამსაც გაიგონა ხელმწიფის სიტყვები, სთქვა:—მადლობა ღმერთს თუ? ვინ არის? ბძანა ხელმწიფემ. ვიღამაც უპასუხა: მოქალაქე გრიაზნოვი. მის ხელიდამ წაგლეჯილ რევოლვერს ბოლი ასდიოდა. კიდევ არისა, დაუმატა მან. ჯიბეები გაუშინჯეს, იპოვეს ხანჯალი. ხალხი ყვიროდა; მოაჯირის იქიდამ დამბაჩას ისროდენ. ვუბძანე ალაყაფის კარები შეემტვრიათ და გაეშინჯათ ბაღი; შემდეგ მივბრუნდი ხელმწიფისაკენ. ათ ნაბიჯზედ ვიქნებოდი როდესაც მოისმა საშინელი ჭექა. ბოლმა და თოვლმა დაჰფარა რამდენიმე წამს ყველაფერი. ხელმწიფე დაეცა. ჩემთან ერთად მოვიდა ნოვიკოვი. ზღვის ჯარის კაცებიც მოვიდნენ. ავაყენეთ ხელმწიფე. ფეხები სრულიად დამტვრეული ჰქონდა, აქა-იქა ხორცის ნაგლეჯები ეკიდა, ფეხის ქუსლი სრულიად მოგლეჯილი ჰქონდა. ამ დროს მობძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე. „მცივა, მცივაო" სუსტის ხმით ბძანა იმპერატორმა. გამოძიება დანიშნულია თანახმად კანონის 19 მაისის 1878 წლისა. საქმეს იძიებს პალატის პროკურორი პლევე და ოთხი მისი თანაშემწე. სამხედრო სასამართლოს სხდომა ამ საქმეზედ გადადებულია.

პეტერბურღი, 4 მარტს. დღეს საშუადღევის ორ საათზე, პატარა სადოვის ქუჩაზე, მენგდენის სახლის ქვემო სართულში, ყველის დუქანში აღმოაჩინეს გათხრილი მიწა; თხრილი პატარა სადოვის ქუჩის ქვემოთ მიდის. ამ დუქნის პატრონს დეკემბერში დაეჭირა ეს დუქანი და იანვარში გადასულიყო. გუშინ საღამოს ის თავის ცოლით სადღაც დაიმალა, დუქანი კი დაუკეტავი დასტოვა; ამ გარემოებამ მიიქცია პოლიციის ყურადღება და გასინჯეს დუქანი. აღმოჩნდა, რომ დუქნის მეორე ოთახიდამ, სადაც დუქნის პატრონი იდგა, ტახტის ქვემოდამ გაყვანილი იყო თხრილი; აქვე ნახეს ბურღვი, რიყის ქვები და მიწა. ერთი როტა მიწის მთხრელი სალდათები დააყენეს აქ და ესენი ავსებენ თხრილს.

(საკუთარის კორრესპონდენტებისაგან)

ქუთაისი, 4 მარტს. ხელმწიფე იმპერატორის მიცვალების ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ ხალხზე. გუშინ სობოროში პანაშვიდი გარდაიხადეს და ხალხსა და ჯარებს ფიცი მიაღებინეს.

გუშინდელ სხდომაზედ ქალაქის რჩევის კრებამ გარდაწყვიტა: დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე ღუბერნატორის პირით იშუამდგომლოს, რომ საოსტატო სემინარია ქუთაისში გაიხსნას; ქალაქმა მონახოს კაცი, რომელიც დათანხმდება სემინარიისათვის ახლავე აშენოს სახლი და ამ სახლის ქირად მიიღოს ქალაქის ხაზინიდამ წელიწადში 1,000 მან.

ჩვენმა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა უარი განაცხადა შუამდგომლობისა ამ საგანზე, თავად-აზნაურობით სახელით; მაგიერად თვითონ პირადათ აპირებს შუამდგომლობას.

ბათუმი, 2 მარტს. სხვათა შორის, მოსამზღვრე მაკრალის მაზრის მცხოვრებლებიც ოსმალეთში გადადიან.

## შემთხვევა ქალაქის საავათმყოფოში.

ტფილისი, 5 მარტს.

ამ ორი სამი წლის წინათ „თფილის მოამბის" პროცესმა გამოამჟღავნა—თუ რა წესები ჰსუფევენ ამ ზემოხსენებულს საავათმყოფოში, როგორ უვლიან, როგორ ეპყრობიან იქ ავათმყოფებს და სხვ.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ გამოაშკარების შემდეგ მაინც საავათმყოფოს მთავრობა უფრო გაფრთხილდებოდა, უკეთ აასრულებდა თავის მოვალეობას, უფრო ადამიანურად მოუვლიდა იმ ღარიბ ავათმყოფებს, რომელნიც იქ საექიმოდ მიჰყავს. მაგრამ საუბედუროთ, ეს იმედი მოტყუებული დარჩა: მას შემდეგ ორჯერ-სამჯერ კიდევ გამომჟღავნდა ისეთი გარემოება, რომელიც ამტკიცებდა, რომ საავათმყოფოში ისევ ის ძველი უწესოება და უთავბოლობა არსებობს, როგორც ძველად იყო, ისევ ისე საძაგლად უვლიდნენ და უყურადღებოდ სტოვებდნენ საწყალ ავათმყოფებს, როგორც ადრე.

მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში გამოაშკარავდა კიდევ ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც არათუ საზოგადოების, თვით პროკურორის ყურადღების ღირსია: ზავლილ 29 ნოემბერს საავათმყოფოში მოიყვანეს ერთი ვიღაც ჰკუიდამ შეშლილი ხელოსანი ქარლო ძოხი. შუაღამემდინ ეს ავათმყოფი მშვიდობიანად, კარგათ, წყნარად იყო. შუაღამეზე, ამბობენ, გიჟობა, ცხარობა დაიწყო, იქით-აქეთ ეცემოდაო, ვინც მოხვდებოდა, სცემდაო და სხვ. და სხვ.

ამის შემდეგ რა მოხდა-ნამდვილად კაცმა არ იცის. შეიძლება ვიფიქროთ მხოლოთ, რომ საავათმყოფოს მოსამსახურებმა წაავლეს ხელი და სცემეს...

მეორე დღეს კი ის ძოხი მკვდარი ნახეს. ექიმების შემოწმებით აღმოჩნდა, რომ მიცვალებულს 15 ნეკნის ძვალი და აგრეთვე გულის ძვალი სულ დამტვრეული ჰქონდა; ამას გარდა მთელს ტანზე ლურჯი, დასისხლიანებული ადგილები.

საზოგადოებაში და გაზეთებში თითქმის დაბეჯითებით ამბობენ, რომ ეს ძოხი ძალად არის საავათმყოფოს სტოროჟებისაგან მოკლული, და თხოულობენ, რომ მთავრობამ უეჭველად გამოძიება დანიშნოს ამ საგნის თაობაზედ, არ შეიძლება ამ საავათმყოფოს მდგომარეობას არ ეწაყრუება და სხვ.

მართლაც, ჩვენს ქალაქში ეს მხოლოთ ერთად-ერთი საავათმყოფოა, სადაც ხალხს, უფრო უპატრონო ღარიბებს, შეუძლიანთ ავათმყოფობის დროს თავი შეიფარონ, და რიგიც და საზოგადო სარგებლობა მოითხოვს, რომ საზოგადოებისაგან, და განსაკუთრებით მთავრობისაგან, ამ საავათმყოფოს ჯეროვანი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

## ახალი ამბები.

ერთს ჩვენ წინანდელ ნომერში მოხსენებული იყო — თუ რამდენი ფული და რა ქველ საქმეს შესწირა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა კიდევ, რომ ყოვლად-სამღვდელომ, სხვათა შორის, ეპარხიალურ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ შესწირა კიდევ სამი ათასი მანეთი.

ჭეშმარიტად, რომ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს გულ-უხვობას საზღვარი არა აქვს...

* * *

დღეს, პარასკევს, ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

ღუბერნატორის წინადადება, რომ თფილისის კამერალურ აღწერობის ხარჯში ქალაქმაც მიიღოს მონაწილეობა;

გამსესხებელ კასსების რევიზიისათვის დეპუტატების ამორჩევა;

ამორჩევა სავაჭრო დეპუტატებისა;

ამორჩევა, ავერკიევის მაგიერ, საქალაქო სკოლების სამასწავლებლო კომიტეტის წევრისა და სხვ.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ბ. საბინინმა დაიბეჭდვინა პეტერბურღის აკადემიის სტამბაში ქართველ ეკკლესიის მამათ ცხოვრება, რომელიც შეიცავს ერთ დიდ მშვენიერად დაბეჭდილ ტომს და რომელშიაც 30 სურათამდინ არის ჩვენი ეკკლესიის წმიდანებისა და მოწამეებისა. ეს წიგნი გამომცემელმა აქაურ სინოდის კანტორას წარუდგინა განსახილველად და ამასთანავე სთხოვა, კანტორას ეშუამდგომლა, რომ რამდენიმე ეგზემპლიარი „მამათ ცხოვრებისა" საქართველოს ეპარხიის ეკკლესიებში გაესაღებინა, თუ არ ვსცდებით, თითო ეგზემპლიარი 21 მანეთად. წიგნის განხილვა კანტორისაგან მინდობილი ჰქონდა მღ. მ. ბ. ხელიძეს.

ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ, მ. ხელიძის აზრით, სინოდის კანტორას

გარდაუწყვეტია, რომ პანტორა მხოლოთ იმ შემთხვევაში იკისრებს ამ წიგნის გავრცელებას საქართველოს ეპარხიაში, თუ გამომცემელი ამოშლის ზოგიერთს შენიშვნებს, რომლებიც თვითონ გამომცემელსო წიგნში ჩაუმატებია.

* * *

გაზ. „გოლოსში" თფილისიდამ იწერებიან, რომ აქაურს" (თფილისის) არსენალში რამდენიმე ზარბაზანი, ზარბაზნის ყუმბარები და ტყვია-წამალი დაიკარგაო და ამ საქმის შესახებ გამოძიება არის დანიშნულიო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში მეორე წიგნი „კავკასიის ბუნების მეცნიერების მოყვარეთა და ალპიის კლუბის საზოგადოების" ჟურნალის, რომელიც, სხვათაშორის ერთის საინტერესო სტატიას შეიცავს: „სია კავკასიის მცენარეებისა" შედგენილი მ. სმირნოვისაგან; ამას გარდა ამავე ნომერშია დაბეჭდილია ზემოხსენებულის ავტორისავე შენიშვნა იმაზე — თუ რა დროს იშლებიან სხვა-და-სხვა ყვავილები თფილისის ახლო-მახლო ადგილებში, აგრეთვე სტატია კავკასიის ნაძვზე — ი. მედვედევისა და სხვ.

* * *

გაზეთს „კავკასიის კურიერში" დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„თფილისიდამ გვწერენ, რომ აქაურ სამხედრო უფროსს ერთს დღესაც ვერ ნახავს კაცი ფხიზლათაო. მთვრალს ისეთი ზნე სჭირს, რომ ვინც კი შეხვდება გზაზე, უეჭველად ჩხუბს აუტეხს და სცემს. ამას წინათ ამან დაიჭირა ბაზარში ერთი მდიდარი პოდრიადჩიკი სტეფან-ალა ალამჯანოვი, ჯერ მათრახით სცემა და შემდეგ თავის თორმეტ ყაზახ-რუსს უბრძანა, რომ თქვენც სცემეთო; მაგრამ, რაღაც ბედათ, ამ დროს მოასწრო ადგილობრივ პოლკის ხაზინადარმა ხატაევმა და დაიხსნა საწყალი ალამჯანოვი".

* * *

იმერეთიდამ, სოფ. ღანირიდამ, გვწერენ, რომ გავლილ 25 თებერვალს, წისქვილის წყლის გუბეში უნახავთ ახლა-დაბადებული დამღრჩვალი ბავშვი. გლეხებს, რომელთაც უნახავთ ეს საცოდავი ბავშვი, ამოუღიათ წყლიდამ და იქვე წყლის ნაპირას დაუმარხავთ. პატრონი და გამამგდები ამ ბავშვისა ჯერ ვერ ამოუჩენიათო.

* * *

დღეს, პარასკევს, საღამოს 7 საათზე, არის დანიშნული მეექვსე სხდომა გუფხის-ტყაოსნის რედაქციისა.

## „დროების" კორრესპონდენცია

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ, 2 მარტს. სამწუხაროა, დაწვრილებით რომ შეიტყოთ, ჩვენი მღვდლების ცხოვრება. ძალიან ცოტა მაგალითს ნახავთ, რომ აქაურ მღვდელს ას კომლზე მეტი მრევლი ჰყავნდეს; არიან ისეთებიც, რომლებსაც ჰყავსთ მარტო ორმოცი ანუ სამოცი კომლი.

მაგრამ ამ მრევლის სიმცირეს დაენებოთ თავი და შევიტყოთ მათი ამ მღდლობიდგან შემოსავალი. თუმცა მაშინ უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდათ მღვდლებს, როდესაც ხალხისაგან იღებდენ დრამის შემოსავალს ისე, როგორც მღვდელსა და ხალხს ჰქონდათ პირობა და ხელ-შეკრულობა, მაგრამ საუბედუროთ მათი შემოსავლის დამცირება იქნა მაშინ, როდესაც იმერეთის ეპარხიის ეპისკოპოსმა გადუჭრა მღვდლებს დანიშნული რიცხვი ფული, როგორც დრამის, ეგრეთვე შემოსავლის. თქვენ იფიქრეთ ახლა — რა უნდა ჰქნას საწყალმა მღვდელმა, როდესაც ხალხისაგან იღებს დრამის ფულს ორ მანეთს? ხალხიც მეტათ დიდგულათ დიამაყათ ეკიდება მღვდლებს; ისინი გახარებული გარბიან ეპისკოპოსთან, როდესაც მღვდელს რაიმე მიზეზს უპოვნიან, ანუ მტრობით, ანუ რაიმე სხვა შემთხვევით, რადგან აქვსთ იმედი, რომ ეპისკოპოსი მათ გაუგონებს და მღვდლებს კი რაიმე სასჯელი მიადგებათ; ამის მაგალითი ბევრია; ერთი ამგვარი სხვათა შორის „დროების" მე-36 ნომერში იყო მოხსენებული.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რამდენიც ხანი გაიდოდა, იმდენი უფრო გაუმჯობესდებოდა მღვდლების მდგომარეობა და გაუთანასწორებდნენ ქართლ-კახეთის მღვდლებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, უფრო უკან იწევს იმერეთის სამღვდელოების მდგომარეობა, მათი შემოსავალი.

რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ საწყალი მღვდლები, რომელთაც რამოდენიმე შვილი გამოსაზრდელი ყავს, რომელთაც მტერსა და მოყვარეს უღელი უნდა გაუწიოს და სხვ. რითი უნდა აღასრულოს საწყალმა ეს მუდამ მისთვის საფიქრელი საქმეები! ერთი თუ ორი მანეთის ქორწინების შემოსავლით? არც დღე და არც ღამე მათთვის მოსვენება არ არის; მათი სიცოცხლე ყოველ წამს იმ ფიქრსა და ჯავრში იტანჯება რომ როგორმე გააუკეთესოს თავის ცხოვრება.

მაგრამ სულ ამდენი ვაების მომსპობი იყო მათთვის იმედი ჯამაგირზე, რომლითაც ქართლ-კახეთის მღვდლები დიდიხანია სარგებლობენ. მაგრამ ამ იმედის შესრულებაც ჯერჯერობით არიქნა. ყოველ დღე და ღამე, ძილშიაც კი ის აგონდებოდათ, როდის მოუვათ მათ ჯამაგირი.

ბოლოს, როგორც იქნა, მგონი, მიიღონ ჯამაგირი; მაგრამ 25,000 მანეთი აქაურ მღვდლებს მგონი თითო თუმანიც არ გახვდესთ და ისიც უკანვე უნდა დასტოვონ საწყლებმა სემინარიისთვის და თვითონ კი დარჩნენ ხელცარიელნი!

ძალიან ბევრი მღვდლები ვიცი საწყლები, რომლებიც გაუწყნარებელად მუშაობენ, როგორც უბრალო მუშა-კაცი, და ვერ იხსნიან თავს მღვდლობით, თუ იმდენი ღონის-ძიება არ ექნებათ, რომ ეს თავის მოვალეობა რიგიანად შეასრულონ და ხალხსაც სარგებლობა მოუტანონ, რათ უნდათ მათ მღვდლობა? ნუ თუ მარტო მისთვის, რომ ამათ თავის თანამდებობა აღასრულონ და ჯილდო კი არა ჰქონდეთრა? ამ ზემოხსენებულ ფაქტს ცხადით ამტკიცებს ერთი მაგალითი, რომელიც მოხდა სასულიერო სემინარიაში 1880 წ., როდესაც არქიელი შებძანდა კლასში და ურჩია მღვდლათ კურთხეულიყვნენ, ის პირები, რომლებიც ათავებდენ სემინარიას. მათ მოახსენეს: ჩვენი თავის რჩენაც დიდი გასაჭირია მღვდელობის ჯამაგირით, თორემ ჩვენი ცოლშვილი რაღამ უნდა არჩინოსო. ამ შაგირდების რიცხვში, თუ არ ვსცდები, მგონი უმეტესი ნაწილი იმერლები იყვნენ, რომელთაც უნახავთ და გამოუცდიათ თავიანთ მამების გაჭირვება და იმიტომ დაშინებულან.

ი. გვ — ძე.

ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, 2 მარტს. თითქმის ყველას ეშველა: მრავალ სოფლებში და დაბებში დაწესდნენ სახალხო სასწავლებლები, ყველა ცოტათი მაინც არის დაწინაურდა გონებით, ყველამ გაიგო განათლების მნიშვნელობა, მისი გემო. მაგრამ ამ საქმეში მეტად უკან არის ჩამორჩენილი ჩვენი დაბა სურამი. აქაური მცხოვრებლები სრულებით არასფერს არ ფიქრობენ თავის განათლებაზედ და გაუმჯობესობაზედ. ამათი უმთავრესი ფიქრი ის არის, თუ როგორ გაავსონ თავიანთ ქისები საცოდავი გლეხ-კაცის ფულებით, თუ როგორ გაცარცონ უიმისოთაც გაცარცული გლეხი, რომელიც, თუ კი ჩაუვარდათ აქაურს სომხებს ხელში, ძნელად და დააწევს თავს მათ კლანჭებს (სომხები შეადგენენ ორს ნაწილს სურამის მცხოვრებლებისას). მათმა უმეცრებამ იქამდისინ მიაწია, რომ კაი უნდა მათ კაცმა ჩააგონოს სარგებლობა სურამში სკოლის დაარსებისა.

ბევრჯელ ჰქონდათ მათ წინადადება სკოლის დაარსებაზედ მაზრის უფროსისაგან, მაგრამ სრულებით არაფერი ყურადღება არ მიაქციეს ამ წინადადებებს: „ეგ-და გვაკლიაო!" ერთხმად წარმოიძახებს ხოლმე სომხობა. „უიმისოთაც გაწვალებულნი ვართო სხვა-და-სხვა ხარჯების ხდითო, მასწავლებელს ჯამაგირის ხდის თავი სადა გვაქვსო"?!

ამ გვარ საქმეებში ჩვენს საწყალს ქართველს გლეხს ხომ ხმას არ ამოაღებინებენ, თორემ ესენი კი მზათ არიან ყოველს კეთილ საქმისათვის. მაგრამ რაქნან, — შეადგენენ მეოთხედ ნაწილს მცხოვრებლებისას.

ამ გვარი სომხების უარყოფობით საქმე რჩება, და აღარც მთავრობა უგდებს ყურს. მე დარწმუნებელი ვარ, რომ იმისთანა კეთილის საქმის აღსასრულებელად, როგორიც არის სახალხო სკოლის დაწესება, ახლობელმა მთავრობამ უფრო [illegible]ად და მომეტებულის მეცადინეობით უნდა იმოქმედოს და არა ტუტველის წინადადებებით, თუ სურს ჭეშმარიტათ საზოგადოების გაუმჯობესობა და მისი მომავალში კეთილ დღეობა. მაგრამ სად არის იმისთანა ბედი სურამის საზოგადოებასათვის, რომ ეს კეთილი საქმე მისთვის მოინდომოს და აღასრულებინოს რა ღონის-ძიებითაც შეიძლებოდეს?!...

განა სურამში სახალხო სკოლა არ უნდა იყოს, ამისთანა ყოველის ფრით შემკობილს ბუნებისაგან დაბაში: ჰაერით, წყლებით, ტყებით და მინდვრებით? ამასაც რომ დაუმატოთ, რომ სურამში სცხოვრებს სამასი კომლი გლეხი და შეუძლიანთ მასწავლებლის შენახვა — არამც თუ ერთის, ორისაც, — სწორეთ ყოველი მკითხველი იტყვის, რომ სურამი შემკობილი ყოფილა ყოველის პირობეებით სკოლის დაარსებისათვის. მეც უბედურობა სურამისა, რომ არც დირექცია და არც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" არ უგდებენ ყურს ამგვარ მდგომარეობას სურამისას და არ თანაუგრძნობონ მის მოთხოვნილობების შესრულებას.

მივაქცევ ამა სურამის სამწუხარო მდგომარეობაზე ყურადღებას ერთისას და მეორისასაც.

ა.

ᲒᲝᲠᲘ, 28 თებერვალს. ღმერთმა დაუმადლოს ბენიზისაგან მდიდარს იმერეთს, თორემ თქვენი მტერი, რომ ჩვენი საქმე იყო; უბრალო ჭყაპს ღვინოს თუნგს მანეთათ ვერ ვიყიდდით, ამისათვის რომ აქ რთველზედვე მჟავე ტკბილი კოკა თერთმეტ მანეთად იყიდებოდა. ამ წლობით იმერეთმა დიდი შემწეობა მისცა ქართლს, რადგანაც გაუწყვეტლივ სვირის და ყიფიანის ღვინოები თუნგი იყიდება გორში ათი შაურიდამ სამ აბაზამდინ.

ამ იაფობამ ძალიან გაამხიარულა ხალხი გავლილ ყველიერებში. ბევრმა საწყალმა კაცმა გაისველა ყელი და ვისაც წილი მოსდევდა ღვინოებიც აცურავა, იმდენსა სვამდნენ... საითაც გაგევლოთ, ყველგან ტკბილი ქართული სიმღერის ხმები მოისმოდა. კარგათ რომ დახორშდებოდნენ ხოლმე ხალხი, შეიყრებოდნენ ზემოთ და ქვემოთ უბნელები საკრივო მოედანზედ და პატარა ომები ჰქონდათ.

ამ კრივების მოწყალებით ბევრი კარგი ბიჭი ჩაწვა ლოგინში, ადგომა ღმერთმა იცის. ბოლოს პოლიციამ გაილვიძა და სალდათებით მოინდომა კრივის დაშლა, მაგრამ ამ დროს, რადგანაც ერთობ დაჩაგრულები იყვნენ ქვემოთ-უბნელები, ქვა გადმოუშინეს და ერთს თოფიან სალდათს ფეხში მოარტყეს; სალდათი ფაიტონით წაიყვანეს, მოგახსენებდნენ ფეხი ძირში მოენტვრაო. გავლილ

ორშაბათსაც ნაკლები ქლეტა არა ჰქონდათ ორს უბანსა, მაგრამ კიდევ ზემოთ უბანმა გაიმარჯვა ასე, რომ სამძლეარს გადაიდნენ და ხუდაანთ კარებამდინ გალალეს ქვემოთ-უბნელები.

ქვემო უბნელების წინ-მძღოლი და მშველელი, როგორც იმ მხრის მემამულე, თ. ნ. დ-ძე იყო ამ ბრძოლის ველზედ. ორი დღე წინ დახტოდა კი ბელადივით, ფულითაც ასაჩუქრებდა მოკრივეებს, ბოლოს საკმაოთ შორიდგან თანაუგძნობდ. ქვემო-უბნელების მწუხარეებას.

ამ გვარი მოვლენისათვის არ არიან დასაცინნი ქვემოთ-უბნელები: თუ ესენი ამ გზობით დამარცხდნენ, ისიც გვინახამს, რომ ქვემო-უბნელებს იქამდინ ეჯობნოთ, რომ ხითარაანთგან ბევრი ნადავლი გაიტანოსთ და ის დიდი საიჯახო კოვზიც თან გაედევნებინოთ.

მოკრივეებმა ესე გაათავეს ამ გზობით საქმე, მაგრამ ქვემოთ-უბნის სარდლებს შუა პატარა შეტაკება მოხდა კრივის შემდეგ.

კრივის ნამდვილი სარდლები იყვნენ: სომხებისა დ. მ—ნოვი და ქართველებისა ქ. ს—დოვი, რ. ამელიც თავის მომხრეებს გზას „უნათებდა.“ სომხებმა სძლიეს ქართველები, მაგრამ მაგიერად იმათ სარდალს ისეთ ნაირად გაუბერეს სახე, რომ ზურნის ბოლოს უგავდა.

მ—ვე.

# რუსეთი

პეტერბურღელი კორრესპონდენტი ინგლისურის გაზეთის *Daily News*-ისა იწერება შემდეგ ამბავს: „ოფიციალური წყაროებიდამ გავიგე, თუმცა ამ ამბის სინამდვილეში პასუხის გებას ვერ ვიკისრებ, რომ ვითომც მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს შეადგინოს იმისთანავე კომისია, როგორიც გლეხკაცების განთავისუფლების წინათ იყო რუსეთის 53 გუბერნიებში დანიშნული და პეტერბურღში კი იმყოფებოდა უმთავრესი ცენტრალური კომისია, რომელშიაც ყოველ გუბერნიიდამ ორ-ორი დეპუტატი იყო გაგზავნილი. იმ ზემოხსენებულ კომისიამ, როგორც დამარწმუნეს, უნდა მოილაპარაკოს იმაზედ—თუ რა გვარი მონაწილეობა უნდა მიიღონ ხალხის წარმომადგენლებმა სახელმწიფო საქმეების გამგეობაში. მთავრობა არ აცხადებს—თუ რა გვარი რეფორმები უნდა შემოიღონ რუსეთის სახელმწიფო წყობილობაში და ან როდის უნდა გამოაცხადონ ეს რეფორმები.

„თუ რამდენათ თავისუფლად სჯიან და ლაპარაკობენ ამ ჟამად რუსეთში, ამის უასამტკიცებლად საკმაო მოვიყვანოთ პეტერბურღის თავად-აზნაურთა კრებისა და ერობის გარდაწყვეტილება, რომელიც ყველა გაზეთებში დაბეჭდილია და რომელნიც თხოულობენ, რომ თავად-აზნაურობას მიეცეს უფლება სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და მთავრობამ მოსპოსო ადმინისტრაციის წესით (უსამართლოთ) პოლიტიკურ დამნაშავეების დასჯა (გაგზავნა). ამ ერთის წლის წინათ რომ ვისმეს გაებედნა ამ გვარის რასმესი თქმა ან გაზეთში დაბეჭდვა; უეჭველია, ამისათვის ის ციმბირისკენ იქნებოდა გაგზავნილი.“

# უცხოეთი

ბელგია. ამ წლის 2 ენკენისთვეს დანიშნულია მთელი ქვეყნის სოციალისტების კრება. ამ კრების მოხდენა გარდაწყვიტა ბელგიის სოციალისტების რჩევამ. კრება შვეიცარიაში, ციურიხში იქნება და გაგრძელდება ერთ კვირას. ბელგიის სოციალისტთა რჩევამ გაუგზავნა მოწვევითი ბარათები ამ კრებაზედ სოციალისტებს ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, დანიაში, ვენგრიაში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში, ესპანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ოსმალეთში და აგრეთვე რუსეთშიაც და ყველასაგან სრული თანხმობა მიუვიდა ამ კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა.

# ნარევი

ამერიკელი გაზეთები რიცხვით, სივრცით და სხვა და სხვა გვარის შინაარსით მთელი ქვეყნის გაზეთებზე მაღლა სდგანან. ყოველ დღიური და ყოველ კვირის გამოცემანი მარტო შეერთებულ შტატებში 9,000; ამ რიცხვში არ ჩაითვლებიან ორ კვირაში ერთხელ და თვეში ერთხელ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

1880 წლის დამდეგს ამერიკაში გამოდიოდა: 899 ყოველ დღიური გაზეთი 3,540,000 ეგზემპლიარათ; 8,428 ყოველ კვირის გამოცემა 13,511,000 ეგზემპლიარათ და ყოველ თვიური 3,626.000 ეგზემპლიარათ. ერთი სიტყვით, სხვადასხვა გამოცემების სხვა და სხვა რიცხვი იყო 10,000-მდინ და რიცხვით 21,000,000 ეგზემპლიარი; ასე რომ 30,000 სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში, რომელიც მთელ ქვეყანაზე იბეჭდება, მესამედი ეკუთვნის ამერიკას.

მიზეზი ამ გვარი გაზეთების გავრცელებისა ის არის, რომ იქ ბეჭდვა სრულიად თავისუფალია. იქ არ არის არავითარი კანონი ბეჭდვაზედ, არც ცენზურა, არც ნომრების დაჭერა და არც არა სხვა გვარი რამე შევიწროება ბეჭდვის საქმისა. მაგრამ ამას გარდა გაზეთების გავრცელების მიზეზი კიდევ ის არის, რომ ამერიკელი ხალხი ძრიელ მოყვარულია სწავლისა და ყოველივე ცოდნისა. „ამერიკელი გაზეთი,—სთქვა ერთმა მეცნიერმა—არის საუკეთესო სახე ამერიკული ცხოვრებისა.“

* * *

ამ ცოტა ხანში სამხრეთ ალჟირში ქვიშაში აღმოაჩინეს ქალაქი. ვიღაცა ტარიმ იპოვა მიწის ქვეშ კარგა დიდი მდინარე. ამ მემთხველმ წყალსაღებისა ის და მიჰყვა წყლის რუს გაიხრას და ამ თხრაში იპოვნა მთელი ქალაქი, რომელიც დიდის ხნიდგან წასილული ყოფილა ქვიშით.

მთელი ეს ქალაქი შემკულია მშვენიერს არხიტექტურის ნაშენობით: სუყველა შენობებს კედლებზე წარწერილებები აქვთ. ჯერ სრულებით მოთხრილია ერთი მეჩითი და ცხრა სახლი.

* * *

გამოჩენილმა ვენის ექიმმა ხირურგმა, პროფესორმა ბილროტმა, 29 იანვარს გაუკეთა საშიშო ოპერაცია ერთ მოხუც დედა-კაცს, რომელსაც კუჭში კუ ჰქონდა. გარეთი და შიგნით გაჭრილები, რომელიც დანით გაუჭრა ხირურგმა, უვნებელათ გაუკეთა და ერთი კვირის შემდეგ ავათ-მყოფი იმდენათ კარგათ გრძნობდა თავს, რომ მეორე ოთახში გაიყვანეს. კუჭი რიგიანად მიმხობდა მაგრამ მილორტი, მაინც იჭვნეულობს ავათმყოფობის მორჩენაზედ; იმას ეშინიან სისუსტისა, რომელსაც მოხუცებული დედა-კაცი უთუოდ ვერ გაუძლებს. ბილორტი ამ საგნის შესახებ დაწერილ სტატიაში ამბობს, რომ ამ გვარი ოპერაცია პირველათ მოიქმედა პროფესორმა ჩერნიმაო, და მასუკან სამოცდა ათი წლიწადია და ძაღლებს გარდა, არავიზედ არ უსინჯავთო.

* * *

ყველაზედ მდიდარი კაცი ქვეყანაზე ამერიკელი ჯონ უღიამ მეკეი ახლა იმყოფება რომში. იმან სთხოვა პაპს ნახვის ნება და მიართვა დიდი შესაწირავი.

მეკეი, მართლაც რომ უმდიდრესი კაცია ქვეყანაზე. იმას აქვს ნევადაში და კალიფორნიაში ვერცხლის მადნები, რომლიდგანაც წლიწადში შემოსავალი აქვს 14,500,000 დოლლარი (30 მილიონ მანეთზე მეტი). ეს შემოსავალი რომ სარგებლით ვიანგარიშოთ, შეადგენს დიდს კაპიტალს 290,000,000 დოლლარს. გაზეთებმა გამოიანგარიშეს, რომ მეკეის აქვს შემოსავალი თვეში 1,200,000; დღეში 40,000; საათში 1,650; წამში 27,5 და სეკუნდში ერთი მანათი. გასაკვირველი ის არის, რომ ამ 35 წლის წინათ ეს მეკეი დეხეტებოდა ირლანდიაში თითქმის უსახლ-კაროთ; შემდეგ ათი წლიწადი მოგზაურ პრიკასჩიკათ იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოცი წლის განმავლობაში ის სრულიად გაკოტრდა, ეხლა კი მეკეის ეკუთვნის დიდი ბანკი, უმდიდრესი ვერცხლის მადნეული ნევადაში.

## მწერლობა

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეხუთე სხდომა რედაქციისა, 3 მარტ.)

რვის ნახევარიდამ ღამის თორმეტ საათამდინ 19 ხანა განხილულ-იქნა, 129-დამ 148-მდის.

შასწორდა:

ტექსტში...

| | | | |
|---|---|---|---|
| 129 | ხანაში არვინა | გასწორ. | არავინ-ათ |
| — | „ წადი | „ | წა და |
| 130 | „ აგრე | „ | შაგა |
| — | „ შემაყარე | „ | შემეყარე |
| 131 | „ დაუფარველად | „ | დაუფარველი |
| 137 | „ ვერ გასძლებდა | „ | ვერ სძლებდა |
| 138 | „ ხამსა მოყვრისთვის | „ | ხამს მოყვრისათვის |
| 142 | „ ქმნილთა | „ | ქმნილნი |
| 144 | „ რამე | „ | მრავლად |
| 145 | „ დღე | „ | დღეს |

146 ხანაში, მეოთხე ტაეპი:

არ მისცილდება თინათინ მისი, მას ვისგან ჰსწვავს ალი.

გასწორდა ასე:

არ მისცილდების თინათინ, რა გინდ გზა ჰქონდეს სავალი.

147 ხან. მოეგებნეს გასწორ. მიეგებნეს

სხოლიოსთვის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 130 | „ შეჭივრება | „ | შეჭივრებას |
| 135 | „ გასაღდეს და | „ | გაასხლეს გაერთდენ და |
| 140 | „ ჭვრის | „ | სწვიმს აფრქვევს |
| 143 | „ გამდრეკელობა | „ | გარდუხდელობა |
| 145 | „ ლბილი | „ | ჩჩვილი ტკბილი |
| 147 | „ მლვენსა | „ | მლვენს |
| — | „ იეფოსა | „ | არ იეფოსა. |

130 და 146 ხანებში რაც ეხლა დაბეჭდილი იყო და გასწორდა, გადატანილი იქნება სხოლიოში.

განმარტება მიეცა ამ საღამოს, სხვათა შორის, მე-136 ხანას. ამ ხანაში ყოველი ტაეპი თავდება ხმებით: ასადგეს. ეს ხმები ცუდათ არის დაბეჭდილი, როგორც ბროსსეს გამოცემაში, ისე უკანასკნელს ტფილისში დაბეჭდილ წიგნში.

პირველს ტაეპში უნდა იწერებოდეს:

... საუბარი ასადგეს,

ესე იგი საუბარი გააუბრალოეს, სადათ აქციესო.

მეორე ტაეპში უნდა იყოს:

... გიშერი ასად აგეს,

ე. ი. ახალ გახადესო;

მესამე ტაეპში უნდა იყოს:

... ხელი ა სად აგეს,

მეოთხეში:

... გული ჩემი ასადაგეს.

მესამე ტაეპის ჰაზრი თავის-თავად ცხადია; მეოთხეში კი ასადაგეს ნიშნავს დასწვეს-ს.

განუმარტებელი დარჩა 145 ხანის მესამე ტაეპი:

ემა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი.

დღეს, საღამოს არის მეექვსე სხდომა რედაქციისა. წასრულ სხდომაში გადაწყდა, რომ კვირაში ორჯერ იქნეს კრება, სამშაბათობით და პარასკევობით.

ი. მეუნარგია.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. ბავრანსკი — ქშიმე ბუნიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბავშვი სისუსტის და შინაგან ავათმყო-

ბისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; შეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი და შტემბორსკი — სიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი — ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყ.; ბაბაევი მარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და შეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და გურმიშოვი — შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ. და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუზარიანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრესტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ფასებით.

# განცხადებანი

**დუშეთის ნატარიუსი ი. ი. ნატროშვილი** აცხადებს, რომ მუშაობა ექნება თავის კანტორაში, ქ. დუშეთში, ყოველ დღე, დილის რვა საათიდგან ორ საათამდის შუადღის შემდეგ:

აქვე შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ დარიგება და შეადგენინონ ყოველ გვარი არზები სადაო საქმეებსა ზედა, ღარიბთათვის უფასოთ. (3—1)

**ტოლლეს მაღაზიაში**

23 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—4)

**ახალი სტამბა**

**მოსეს გართანიანცისა და ამხ.**

განოვის ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლებში ამ დღეებში გაიხსნა ახალი სტამბა სრული მოწყობილობით და ვიღებ ზაკაზს ყოველ ენაზე.

როგორც გამოცდილი ამ საქმეში, ვასესვ ვპირდებ, რომ ნამდვილად და სინიდისიანათ შევასრულებ ყოველ მოთხოვნილებას. (5—5)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საიგენტო მაგინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—34)

**ნაფიცი ვექილი** (სტრიაპჩი)

## პ. ბ. ლებედინსკი

ჰკისრულობს სამოქალაქო საქმის წარმოებასა თბილისში: ოლქის სასამართლოში და პალატაში.

ადრესი: ბაროხის ქუჩა, თამამშოვის სახლები, მებელის მაღაზიის პირ-და-პირ. მიიღებს 5—7 საათამდის ნაშუადღევს. (3—2)

**ბევრი კრაოტები**

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან.—დამ, შარვლები 4 მან.—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ქიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსაელის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმჯეენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ქილა ინგლისური მურაბები 85 კ. (20—5)

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალლერეაში: ღირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—15

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** საიგენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ ეყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—34

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—45)

**ინგლისის მაღაზიაში**

თმის ამო-მყვანი



მაკ-ასა-რი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—39)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ლუდის სარდაფში. (25—22)

**თესლები**

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, გალავინის პროსპექტზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—5)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვიდრე სხვაგან. (20—15)

**დასყიდვა ფასებით:**

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალლერეაში. (20—3).

ОБЪ ИЗДАНІИ

съ апрѣля 1881 года въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

Журналъ будетъ выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ до 2-хъ печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

Отдѣлъ 1. Статьи по теоріи и практикѣ права и судопроизводства.

Отдѣлъ 2. а. Извлеченіе изъ приказа о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству Юстиціи въ Имперіи.

б. Перечень и краткое изложеніе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.

Отдѣлъ 3. а. Краткіе отчеты о засѣданіяхъ въ судахъ Кавказскаго Намѣстничества. Въ случаяхъ особенно важныхъ—стенографическіе отчеты будутъ издаваться въ видѣ особыхъ приложеній въ журналу.

б Тезисы изъ руководящихъ рѣшеній Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ, разрѣшеннымъ ею въ кассаціонномъ порядкѣ. Въ случаѣ надобности здѣсь-же будетъ помѣщаемъ и текстъ самыхъ рѣшеній.

в. Особенно интересныя рѣшенія гражданскихъ судовъ Кавказскаго Намѣстничества. Преимущественно тѣ рѣшенія, коими разрѣшаются какія либо вопросы права и судопроизводства, вызванные мѣстными особенностями Кавказскаго края.

г. Корреспонденціи юридическаго содержанія.

Отдѣлъ 4. Перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія. Редакція по возможности будетъ представлять и краткіе отчеты объ этихъ книгахъ.

Отдѣлъ 5. Смѣсь. Мелкіе случаи изъ судебной жизни и практики.

Отдѣлъ 6. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.

Отдѣлъ 7. Тезисы изъ вновь выходящихъ рѣшеній Кассаціонныхъ Департаментовъ Сената.

Отдѣлъ 8. Объявленія.

Журналу обѣщали свое сотрудничество, сверхъ многихъ лицъ судебнаго вѣдомства: Ф. К. Бакало, Ѳ. А. Быковъ, В. М. Горбовскій-Заранекъ, Н. А. Дингельштетъ, В. И. Канатовъ, П. В. Макалинскій, Я. И. Рашетъ, М. А. Селитренниковъ, П. П. Соколовъ, Е. Д. Стрѣльбицкій, А. С. Френкель и др.

Редакція журнала—по Ново-Бебутовской ул., д. № 6. — Администрація (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—близъ Головинскаго проспекта, по Безъименному пер., д. Тамамшева.—Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою, на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к.—Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца. — Отдѣльные нумера—по 25 к.— Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.— Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ Администрацію журнала.

Редакторъ А. В Степановъ.

Издатель А. С. Френкель,
присяжный повѣренный.

(5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.